

1951

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საბურთალოსი ილიას სახელობის სახლ-მუზეუმის გახსნის ბაზო

— ტყემ მონსხა ფოთოლი,  
ამბობს დიდი ილია, —  
ბაღში ვაჭი ობოლი  
პწუანედ შეფოთლილია!

აუვაუებულა მდელი,  
აუვაუებულან ძთები,  
მაძულა საუვაარელი  
აუვაუებული მხედები!

ს ი ა ს ბ ი

№ 9 თბილისი ბაისი 1951 წ. ბაზოცდამოლა „კოშხისტი“ ჯალი XXVIII ფასი 2 მან.

სსრ კავშირის  
სახალხო  
მეურნეობის  
განვითარების  
სახელმწიფო  
სესხის  
1951 წლის  
გამოშვება



მტერმა თუ ბნელი სახე გვაჩვენა,  
ჩვენი თვადების შუქი წრფელია:  
ამ სესხით ისევ ჩვენი მარტვენი  
მხოლოდ მშვიდობის მშენებელია!

ჩვენს ღიმილს მტერი ხვევბა წუხილით,  
ელვით გაუპო გული მანსმა!—  
ეს გაზაფხულის ჭაჭა-ქუხილი  
მტრისთვის შემზარავ რისხვად გაისმა.

ამას წინათ ერთ კომპიუტერობაში ყურადღება მივაქციე კარგად გამო-  
თხნულ ვენახს. ახალი ნაწვიმარი იყო და შევნიშნე უკვე ამოძირკვეულ კაქა-  
ქისა და მყარალს ფესვებს ხელახლა უცდიათ გამოცოცხლება.

ეს ვენახი ახლად გამოცოცხლებილ ეწერა მომწოდებელი კომპიუტერების,  
ამიტომაც ასე მედგრადა იბრძოდნენ ამ ნაკვეთზე სარეველა ბალახები თა-  
ვიანთ არსებობისთვის.

სწორედ ასევე ჩვენს ახალ ცხოვრებაში აქა-იქ კიდეც ჩალიჩობენ ძველი  
ყოფის ნაშთებები, ახლებურად შეფერილი, მაგრამ მაინც ძველი სულის  
მატარებელი ხასიათები.

ესენი ხანდახან ფეხებში ებლანდებიან წინ მიმავალ ეპოქასა და ადა-  
მიანებს. რადგან სიცოცხლე ზოგჯერ ცეცხლზე უფრო მწველია და ხმაზე  
უფრო მკრეხი, ამიტომაც საჭიროდ ჩანს თვალა აბუსერ აბუსერისძემ ამ ეს-  
კიზების გამოკვეცნება.

1. უტაქტო, ანუ აბეზარა

უტაქტო დაუდევარი კაცი, საკუთარი პირის ღრუს სისუფთავისთვის  
საც არ ფიქრობს, კბილებს არასოდეს გაიწმენდს, (თუმცა რა გაიწმინდოს,  
როცა კბილები ალაო შერჩენია).

ლაპარაკის დროს ახლოს მოგვიკრებათ, დიღუბე ხელს წაგავლებთ.  
„რა კაი კოსტიუმი გაცვია, რა მიეცი, რა იციღე?“  
შენ გეჩქარება, იგი თავის ხელს მაგრა გიკერთ ხელზე, თითების ფრჩხი-  
ლებს წვირის არშია უმშვენებს.

გვერდით მოგიჯლებათ, სკამზე ფეხს შემოგიდგამთ, ან წამოიღებთ ცალ  
ხელს და თამაშს დაუწყებთ იმ მეტეკს, რომელსაც თქვენ არც ისე დიდხანს  
ხალისით ატარებთ კისერზე.

თქვენ მანდილოსანს ესაუბრებით ამ დროს და გენებათ მას თავი მოა-  
წონოთ, უტაქტო საუბარში შემოგვიკრებათ და მოგახლით: „ამხელა მეტეკი  
რამ გაგიჩინა კისერზე, მოაქრევიწე შე კაი კაცი, ექიმს“.

თქვენ მას მხოლოდ შორიდან იცნობთ, მხოლოდ ის იცით, ისიც ბუნ-  
დოვანად, რომ ეს კაცი კარაქისა და ხორცის ტრესტში მუშაობს, ის კი ნა-  
მეტნავად წინაურულად გმქცევით.

„შენ... შენ... შენ...“ ახსენებს წარამარა თქვენი სიყრმის სახელს, რო-  
მელსაც ბებიათქვენი, ან კეთილი მამიდა გიწოდებდათ.

„კუქიკო,  
კუქიკო,  
კუქიკო!“  
თქვენ არც კი იცით მას ცოლი რომ ჰყავს, არც ის, თუ რა ჰქვია მას.

უტაქტო საყვედურით მოგმართავთ დილაადრიან:  
„გემდური, გემდური, კუქიკო!“  
„რატომ?“

„როგორ თუ რატომ? ჩემი ცოლის დღეობაზე რად არ მოხვედი?“  
უტაქტო სადმე გამოთვრება დილაადრიან, დადის, დაქერქეტობს  
ქუჩა-ქუჩა. ვთქვით, თქვენ გარდაგეცვალათ საკმაოდ პატივცემული სიღვრი  
და დამამარხველ ბიუროში მიდისართ.

უტაქტო ქუჩას გადმოსვრავს თქვენს დანახვაზე, გეძახით:  
„კუქიკო!“

თქვენ იძულებული ხართ შესდგეთ და უცადოთ, ვიღვრე იგი ტროტუ-  
არზე გადმოაბოტებს და თავის მარად სველსა და დაუბანელ ხელებს შემო-  
გაჩქებთ, მაგრად, მაგრად, მოგიკეროთ და გეუბნებით:

„მომილოცავს, მომილოცავს, კუქიკო!“  
თქვენც, ისევე როგორც ყოველი მომაკვდავი, ბერდებით, მაგრამ ჭალა-  
რას ჯერ არ დაუთოვლია თქვენი თავი, უტაქტო თავის მოვალეობად სთვლის  
დაგჩხავლობს:

„კაცი, რა ამბავია, რად არ ბერდები, კუქიკო! როცა მე ოლასკურაზე  
ლორჯოებს ვიკერდი, შენ ლეციეებს კითხულობდი ხან კანტის, ხან კომპოს-  
ტოს დამკავების შესახებ“.

ვთქვით, თქვენ ბედმა გაგიღიათ და რომელიმე გამოგონებისათვის  
პრემია მოგცეს. უტაქტო სადმე შეგეხებებათ, თქვენს დანახვაზე გაფითრდება  
ბრაზისგან, მერმე ერთბაშად ნირს შეიცვლის, ხალისიანად მოგესალმებათ  
და შიგადაშიგ დაგგესალვით:

„პრემია მიგიღია, კუქიკო? კაია, კაი, პრემია რომ მიგიღია, კუქიკო. მა-  
ყარინი შენზეა. მე მაგისთანა გამოგონებები ერთი კი არა, შეიდი მიგიღია პორტ-  
ფელში, მაგრამ მათი წარდგენა არც კი მიფიქრია. ეკონომიაო? ჩვენს შო-  
რის რომ დარჩეს, რა ეკონომია უნდა მისცეს შენმა გამოგონებამ, კუქიკო,  
ტრესტს“.

ამასობაში თქვენ ოდნავ მოიღუფებთ, უტაქტო ნაწიბურებში ხელს მო-  
გიკერთ და გეუბნებით:  
„კაია, კაია, კუქიკო, ხომ ხედავ, ჩემი მთავრობა ისე მდიდარია, რომ  
ყოველ კაცს პრემიით ასაჩუქრებს...“

II. თამაჩაბა

თავკერძა თავის მოტვლილ თავს აჩრის ყველას.  
„მე (ეს და ეს) უნივერსიტეტი გავათავე. მე (ეს და ეს) წიგნი დაეს-  
წერე, მე ჯილდოზე წარმადგინეს. მე და ჩემი ცოლი მუდამ პირველ რიგში  
ვჯდებით ოპერაში. მე (ეს და ეს) აღმოვაჩინე. მე ყველაზე მეტად პატიო-  
სანი ვარ, მე ეს ყველაზე ადრე შევნიშნე.“

როგორც კი შეგხვდებით თავკერძა, წამსვე დაგიწყებთ თავისი ცოლ-  
შვილის ქებას, მე და ჩემი ცოლ-შვილი ყველას ვუყვარვართ, ჩემი ცოლი  
უმშვენიერესი ქალია ქალაქში, ჩემი „მასკვინი“ საუკეთესო ფერის მანქანაა,  
ჩემმა ცოლმა სტომატოლოგიის ინსტიტუტი ფრიალზე დაამთავრა, ჩემი ვა-  
ჟი ფრიალსანია, მაღე სტიპენდიას მიიღებს. მე როცა კონსერვატორიაში  
ვსწავლობდი, ფალიაშვილი ამტკიცებდა გენიოსი გამოვაო, მაგრამ გენიოსო-  
ბას იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება ვარჩიე. მე ახლა ორ შრომას  
ვწერ: ერთია მსოფლიოს იურიდიული ნორმები, და მეორე... (აქ თავკერძა  
შესდგება და მერმე გეუბნება: თქვენ ვგონებ წაკითხული გაქვთ ამ შრომის  
ნაწევები). თქვენ თავს უქნევთ, რათა თავკერძა როგორმე მოიცილოთ თავი-  
დან, მაგრამ ეს თქვენი ცდა უშედეგო აღმოჩნდება. უფრო და უფრო ახლოს  
მოაქვს თქვენს სახესთან ტურ-პირი თავკერძას.

„მე საიდუმლოდ გეტყვი... მე ახლა მოთხრობების წერას შევუდექი,  
რადგან ახლა ყველა უნივერსიტეტი მოთხრობებს წერს. ახლა ერთ მოთხრობაში  
სრულიად აქტიური პრობლემა ვაყენებ. ჩვენს შორის რომ დარჩეს, ჩემი  
მწერლები ყველანი უნიჭობაა, მე პრობლემების კაცი ვარ, მე რომ არ  
ვიყვი, ახალ პრობლემებს ვერაფერს დასვამდა.  
შენ ხომ იცი რა პრობლემა მაქვს აღებული?“  
თქვენ მოთმინებიდან გამოდისართ, — „თქვენი პრობლემა?... როგორ არა,  
ვიცი, ვიცი“.

თავკერძა არც კი დაუყვირებდა თქვენ მართლა თუ იცით მისი ახალი  
პრობლემის ამბავი, ისე განაგრძობს:  
„მე უშედეგოდ გადავჭვი ამ პრობლემას და მაშინ თქვენ ყველანი გაი-  
გებთ, თუ ვინა ვარ მე...“

ასე ქაქანებს ყოველ გზაჯვარედინზე თავკერძა და ავიწყდება, რომ  
ცხოველთა შორის ყველაზე მეტად საბრალოსაც პირზე აკერია:  
„მეეეე...“

III. წამახლურა, ანუ მცემეცა

მეცემეცამ არასოდეს არ იცის რა უნდა და რას მიეღებს. ცოლი მან  
შეერთო თავის ამხანაგის წამახლურობით, „გემო-კვების“ მონაგარიზე ქალი,  
მისი ამხანაგის ცოლისა.

სიტყვთერების დარგი დასტოვა და თავის ძმის მაგალითს მისდია და  
სტომატოლოგი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამასობაში გაზეთებმა იწინარებს  
დაუწყეს ქება და ელემტროტექნიკური ფაკულტეტი გაათავა, ახლა კი უტი-  
ლის ტრესტის ინსტრუქტორია.

ვთქვით, თქვენ მომეტებულად გასუქების გეშინიათ და ბორჯომში აპი-  
რებთ დასასვენებლად წასვლას. მეცემეცა ამას გაიგებს და თუმცა იგი კიბოს  
ფეხებივით გაჩხირებულია, მაინც გადასწყვეტს ბორჯომში წასვლას.  
თქვენ დაბალი ხართ და ამიტომაც ატარებთ მაღალციან ფახხასა და  
მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს.

მეცემეცა მაღალია და გამხდარი, თქვენის ხატრით მაღალ ქუდს იყიდის  
და მაღალქუსლიან ჩექმებს ჩიცვამს და ნაცნობები მას ახალ სახელს შეარ-  
ქმენენ:


„აყუაყუდას.  
სალამოს თქვენ კინოში აპირებთ წასვლას, მეცემეცა სალაღეც მიიქარო-  
და, სასწრაფო სამუშაო მაქვსო, ამბობდა. როგორც კი კინო უხსენეთ, „მეც-  
ემეცო“ თქვა და მანაც კინოში ამოყო თქვენთან ერთად თავი. თქვენს გვერ-  
დით ლოჯაში ვილაყ ახმავს კაცს არ მოეწონა სურათი, ადგა და გავიდა.“

მეცემეცას ახლა მოაგონდა თავისი საქმე, მანაც გაიხურა კარი და გაუ-  
ჩინარდა.

კინოსურათის საუკეთესო მომენტი დგება და ამ დროს ვილაყ კაცი  
შემოვარდება ლოჯაში, გაცეცხლებული ადმინისტრატორი მას უკან მოსდევს  
ყვირილით. გამოირკვევა, რომ მეცემეცას ქული დავიწყნია და იმის წასაღებად  
შემოვარდნილა.

თქვენი სამსახურის ადგილი თქვენი ბინიდან ძლიერ დაშორებულია,  
ამიტომაც შეიძინეთ ყავისფერი კაბრიოლეტი. მეცემეცა თავად იმ შენობაში  
ცხოვრობს, სადაც მისივე სამსახურია. როგორც კი გაიგებს მეცემეცა, რომ  
თქვენ კაბრიოლეტს ყიდულობთ, წამსვე გადასწყვეტს მანაც შეიძინოს ტენ-  
ტიანი კაბრიოლეტი და ისიც უთუოდ ყავისფერი.

მეცემეცა ყოველ საქმეს წამახლურობით წამოიწყებს ხოლმე და წამახლურ-  
ობითვე გულს აყურის ყოველ საქმიანობაზე მეცემეცა.



სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში სასეირნოდ გამოსულ ნიანგს ერთ-ერთი საწყობის კარებიდან უცნაური ხმაური შემოესმა. ამ ხმაურში ისმოდა დაცინვა, საყვედური, საკუთარ ბედზე ჩივილიც.

მოგეხსენებათ ნიანგის ცნობისმოყვარეობა. მაშინვე საწყობის კარებს მიაშურა. კარი თავისით გაიღო და ნიანგს თვალწინ საოცარი სანახაობა წარმოუდგა: ცემენტის ფართო იატაკზე წრეშემოვლებით განლაგებულიყვნენ ჩვენი ადგილმრეწვის, კოპრეწვისა და სხვადასხვა არტელმრეწვების მიერ გამოშვებული ფართო მოხმარების საგნები. ისინი რიგ-რიგით დებულობდნენ სიტყვას და მსჯელობაში მონაწილეობდნენ.

სწორედ ნიანგის შესვლის მომენტში თავმჯდომარემ გამოაცხადა:

—სიტყვა ეძლევა **26 კომისიის სახელობის ფეხსაცმელების არტელის** მიერ გამოშვებულ ფეხსაცმელს (დირექტორი ვ. მესრობიანი). როგორც მოგეხსენებათ, ეს არტელი შედის საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია ჩვენი კრების სრულყოფილი წევრია. გთხოვთ გულდასმით მოუსმინოთ.

წრეში გამოლახლახდა დაკვანქული, პირდაპმუქნილი და ქუსლმორეცილი ფეხსაცმელი. მას გამოჩენისთანავე სიცილი დააყარეს და კილეა დაუწყეს:

— ხა, ხა, ხა, ხა, — გაისმა ერთი კუთხიდან, — ერთი უყურეთ მაგ მახინჯს, რასა გავს!

— ტუფლია თუ კიტრის ნაფცქვენი? რა უცნაურად დაღმეკილა?

— ერთი საქუსარზე შეხედეთ, როგორ მორეცია, თანაც მონაქერში კუბატივით რომ ამობურცულა!

— არა, ქუსლს დააკვირდით, ქუსლსა. ზედ ლანჩის ძირი ისე გადმოფარებია, გეგონებათ გაფუფულაო.

— ნაკერებს აღარ იტყვიოთ? თითქოს ზედ რკინის სალტე გადაუქერიათო!

— ლაქებსაც შეხედეთ: ჯერ ფეხზე არავის ჩაუცვამს და გეგონებათ მთელი წლის ნაცვეთიაო!

— მაგას ვინ ჩაიცვამს? სირცხვილით თავი სადღა უნდა გამოყოს!

— ნურც ასე წუწუნებთ, განა ვერ ხედავთ, რომ ჩვენმა არტელებმა ბოლო ხანებში უკვე საკმაოდ აამაღლეს თავიანთი პროდუქციის ხარისხი? აბა, ვინ დაგამახინჯათ?

თავმჯდომარემ დააშოშმინა მოლაპარაკენი და გულამომჯდარმა ფეხსაცმელმა ზღუქუნით დაიწყო:

— რას დამცინით, თქვე საცოდავებო! ისეთმა ფურმა დამწიხლოს — ჩემზე მეტს იწველიდესო. განა თქვენ კი სატრაბახო გაქვთ რამე? განა ყველანი ერთ ტაფაში არ ვიწვით? ყველანი დამახინჯებული და თავლაფდასხნული არა ვართ?

— ვისგან, ვის მიერ? — შემოესმა ორატორს სხვადასხვა კუთხიდან.

— ვისგან და ჩვენი გამოშვები არტელების უქნარა ხელმძღვანელებისაგან. აი, ხომ ხედავთ, ხვალ დღესასწაულია, მალაზიების ვიტრინები მორთეს ფაბრიკებისა და მოწინავე არტელების მიერ გამოშვებული ნაწარმით. ჩვენ კი ჩავამწყვდიფს ამ ბნელ საწყობში და გარეთ გატანაც კი სირცხვილად მიაჩნიათ, არცა ტყუიან; აბა, ერთი შეხედეთ ამ გადახუნებულ ქსოვილს: ვინ შეღება ის?

— მე სუჯუნის არტელ „წითელი მღებავის“ (დირექტორი კონსტანტინე ჯოჯუა) მუშაებმა შემღებეს, — ქვითინით დაიწყო აბრეშუმის ქსოვილმა, — კარგად მომქსოვეს, მაგრამ იმ მთვრალმა კაცმა, რომელმაც სამღებრო ქვაბში მიძახა, ზედ იმდენი ჭის წყალი დამასხა, რომ ისედაც გაწყალებული საღებავი დოსავით გახადა. ბევრი მაღულა, ბევრი მატრილა, მაგრამ რა გამოვიდოდა, როცა საღებავი არ ვარგოდა?

— ეგ საღებავი, ჩემო კარგო, საქართველოს სარეწაო კოოპსახბჭოს რეცეპტით არის დამზადებული, მანვე დაუშ-

ვა წერტებში სარეალიზაციოდ და სუჯუნელმა დოკლაპიებმაც ხარისხი არ გასინჯეს. ამიღეს და ასე გახუნებული გამომიშვეს. განა ეს სამართალია?

— აკი იმიტომაც დაადგინა საქართველოს ვაჭრობის სამინისტრომ ამ საღებავის გაუქმება!

— ეჰ, ჩემო კარგო, დადგენა ერთია, შესრულება მეორე: სუჯუნის „წითელი მღებავი“ დღესაც აფუქებს ჩემისთანა ქსოვილებს.

— მაგ მდგომარეობაში მართო არა ხარ, — გამოებაასა მას გარეუბნის საწარმოო კომბინატის მიერ გამოშვებული ფეხსაცმელი, (კომბინატის ხელმძღვანელი ამხ. ბუაძე), — ასევე უპასუხისმგებლოდ შეგვჯღანეს ჩვენს არტელში. როცა წუნმდებელმა ჩემი დაქეილი ზედაპირი, ჩაქყლეტილი საქუსარი და ზედგადმოწოლილი ქუსლი უჩვენა საამქროს უფროსს, მან გადაიხარხარა და უთხრა:

— რა გენაღვლება? გაუშვი, ჩვენ გეგმა შესრულებულად ჩავგვთვლება და თუ არავინ გაბრიყვდება რომ იყიდოს, საწყობში ჩაღპესო!

— დღეგრძელი ხარ, მეც ეგ უნდა მეთქვა, — ჩამოართვა სიტყვა არტელ „ინსაცკომბინატის“ (დირექტ. კ. ხუქუა) მიერ გამოშვებულმა მორეცილიმა, საპირედაბეგვილმა და ქუსლჩაბრუნებულმა ფეხსაცმელმა, რომლის დანახვაზე ქვითინი აუვარდათ მის გვერდით ჩამწყრივებულ უხარისხო საგნებს.

— ასე არ შეიძლება, წუნის გამოშვებისა და ჩვენი ძმებისა და დების დამახინჯების ნება აღარ უნდა მიეცეთ არტელების უხეირო ხელმძღვანელებს, მათ საკადრისი უნდა მიეზლოთ საქონლის გაფუქებისათვის. — აჩოჩილო და საწყობის კუთხეებში დაგროვილი წუნი.

ნიანგს გულმა ველარ გაუძლო და იმით დაიმედებული, რომ ზენახსენებული ლალადისი თვით საქართვლის სსრ ვაჭრობის სამინისტროს ყურამდე მიალწევდა, „დაჯდა წერად ამა უსტარისა“.

# წუნის კონკურსი



ნახ. ღონისა  
საბჭოთა კავშირის მშენებელი



ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ გამოცხადებული იქნა კონკურსი საუკეთესოდ შესრულებულ... წუნზე. ჩამოყალიბებულია ავტორიტეტული კომისია. მაგიდას უსხედან: საქტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი ტ. ალექსიშვილი, პირველი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი მ. ქართველიშვილი, მეორე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი გ. ხომერიკი, ფეხსაცმელების პირველი ფაბრიკის დირექტორი მ. მესხი და ფეხსაცმელების მეორე ფაბრიკის დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ა. ჩქარეული.

მაყურებელთა ადგილს იკავებენ მომხმარებლები. ისინი ხშირად გაუხარებია ჩვენი მოწინავე საწარმოების მიერ გამოშვებული კარგი საქონლის ყიდვას, მაგრამ ზოგჯერ მათ მიერ ნაყიდი ახალი ფეხსაცმელი ჩაცმის პირველ დღესვე დაშლილა, ტანსაცმელი დარღვეულა, წინდები დახეულა და მათი გულიც დანალღლიანებულა.

კომისიაში ცხარე კამათი გაჩაღდა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ საპატიო საკრებულოს თავმჯდომარე. დიდხანს იკამათეს, თუ ცოტა ხანს, ერთხმად გადაწყვიტეს, — კონკურსის საბოლოო დამთავრებამდე არ აირჩიონ თავმჯდომარე.

დაიწყო ექსპონატების ჩვენება.

პირველად გამოაქვთ პირველი სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი მ. ქართველიშვილი) და მეორე სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. ხომერიკი) პროდუქცია: უხეშად და ულაზათოდ შეკერილი ბავშვის შარვლები, ხალათები, რომლებსაც სალილეები ამოჭრის შემდეგ ამოხვეული არა აქვს; ნაჩქარევი კერვის გამო დანაოკებული

და დაუშნობელი ქალების მოსასხამები.

შორიდან რალაც ბრაზა-ბრუხი მოისმა.

— ფეხსაცმელები მოდიან! — დაიძახა ვილაძამ.

ცოტა ხნის შემდეგ კომისიის წინაშე გაჩნდნენ ფეხსაცმელების პირველი ფაბრიკის (დირექტორი მ. მესხი) და ფეხსაცმელების მეორე ფაბრიკის (დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ა. ჩქარეული) ექსპონატები. რანაირ ფეხსაცმელებს არ ნახავდით აქ: ძირგავარდნილებს, ლანჩადაშლილებს, ბავშვის ფეხსაცმელებს, რომლებიც მარჯვენა ფეხისა სხვა ზომისა იყო და მარცხენა — სხვა ზომის. მათ ეკრათ ფაბრიკის მარკა პირველი ხარისხის აღნიშვნით.

ექსპონატების ჩვენება დაავიკრვინა საქტრიკოტაჟის ფაბრიკამ (დირექტორი ტ. ალექსიშვილი).


შემოიტანეს ჯემპრები, რომლებსაც ერთი მხარე ვიწრო ჰქონდა, მეორე — ფართო, საყელო მრუდე, ნაქსოვის თვლები ჩავარდნილი. კომისიის წევრები დიდხანს კამათობდნენ მათ ფერზე: ზოგი ამბობდა მოშავოაო, ზოგი — მოყვითალოაო, ზოგს მოყავისფროდ ეჩვენებოდა. ერთმა კი დარწმუნებით განაცხადა — მოთეთროაო.

აი, ქალის წინდებიც, რომლებსაც ხელმომჭირნე ბებია თავის სამზითვო ზანდუქშიც კი არ შეინახავდა სხვა ძველმანებთან ერთად. მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგის ამხანაგ გოდენკოს მიერ მოწონებულმა პერანგის ამხანაგმა მოახდინა, მას ერთი ტოტი უფრო გრძელი ჰქონდა, მეორე კი — მოკლე.

წუნის საერთო სურათის შესაქმნელად ფაბრიკებმა თან პროცენტული მაჩვენებლებიც მოიტანეს. მათ შორის თავი გამოიჩინა კვლავ საქტრიკოტაჟის ფაბრიკამ, სადაც მაღალ ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილია გამოშვებული პროდუქციის 16,5%, ხოლო სრულიად დაწუნებულია 7,2%.

კონკურსის შედეგები ჯერჯერობით არ შეჯამებულა, რადგან ზოგიერთმა საწარმომ გადაწყვიტა კარგად იმუშაოს, რათა არ მოხვდეს წუნის კონკურსზე.

ა. სიმონიძე



არა, ეს კაცი, იხე როგორც ამ ტანსაცმლის შეწყვერავი, თავს ვერ გამოყოფს და ვერ დაგვენახება!



ეს ბანოვანი ტანწერწეტაც რომ ყოფილიყო, ასეთ კაბას მაინც ტანზე ვერ მოირგებდა.



ასეთ კაბას კი ორი ქალის ცქრიალა ტანის გატარავენ.



მეორე დღეს რაიპროკურორმა ასეთი განკარგულება გასცა.

„მე-6 სამილიციო განყოფილების უფროსს მილ. კაპიტან ამხ. ახობაძეს. გეგზავნებთ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოდან გადმოგზავნილი მიმოწერა ჩილინგაროვის ბოროტმოქმედების შესახებ გამოძიებისათვის“.

(ხელმოწერა)

განკარგულების დედანი გაეგზავნა მილიციას, ხოლო ასლი—ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს.

კინალამ გაკვირვების ნიშნად გადაიქცა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსი ამხ. გ. სიხარულიძე. ვერ გაიგო, ბოროტმოქმედებას მფარველობდა პროკურორი, თუ ბოროტმოქმედთა გამომძიებლებს სჯიდა „სხვის“ ფუნქციებში ჩარევის გამო.

ჩვენ კი ეს საქმე ასე ვავიგეთ: ისეთი თანამდებობის პირმა, რომლის ბრძანებასაც შეუძლია ადამიანის ცხოვრება სწორი გზიდან დაღმართისკენ გადააქანოს, მეტი დაკვირვება უნდა იქონიოს განკარგულების გაცემის დროს.

— ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ტერიტორიაზე სამარცხვინო ფაქტი მოხდა—კვამლსაწვავი მილები მოიპარეს. აღნიშნული სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსმა ამხ. მ. ჩილინგაროვმა სასწრაფო ზომები მიიღო: ოქმი შეადგინა მომხდარი ფაქტის შესახებ, დაასახელა დამნაშავე პირები და მათი მისამართები, მიმართვა დაწერა და ოქმთან ერთად გაუგზავნა სტალინის სახელობის რაიონის პროკურორს ამხ. ვ. ლეონიძეს.

როგორი დაიმედებული იყო ამხ. მ. ჩილინგაროვი, რომ დამნაშავეებს ხელს მოკიდებდნენ და დანაკარგს აღმოაჩენდნენ, მაგრამ...



თბილისში, № 6 აფთიაქში შედის მოქალაქე. სიროლინის თხოულობს, უარით ისტუმრებენ.

— იქნებ შემორჩენილი გქონდეთ სადმე, ნუ დამიპურთ, მე თქვენი კოლეგა ვარ.— მიმართავს მმართველს.

მაგრამ მმართველის სკამზე მჯდომი სხვა კაცი გამოდგა:

— როგორ, კოლეგა ხარ და მე ვერა მცნობ?!

— რატომღაც არ მახსენდებით, ბატონო.

— სად გიმუშავნიათ?

მოქალაქე იხსენებს ყოფილ სამსახურს

— მე რე თქვენთან ჯანმრთელობის სამინისტროდან ხოჭოლავა არავინ მოსულა?

— კი, ბატონო, ბოდიში, ახლა გამახსენდით... იღბალი მქონია. სამინისტროში მინდოდა თქვენთან მოსვლა მაგ წამლის სათხოვნელად.— ცრუობს მოსული.

— როგორ, პროვებორი ხართ და სიროლინის გულისთვის აფთიაქს აწუხებთ?

— გასტრონომში წამლებს არ ყიდიან და მაშ ვის მივმართო!

— სიროლინის შემადგენლობა თუ გახსოვთ ზეპირად?

— უნდა მახსოვდეს... თიოქოლი, შაქრის სიროპი, მანდარინ...

— კმარა, გცოდნიათ... აიღეთ მანდარინის სიროპი, ჩაყარეთ შიგ თიოქოლი და გათავდა!.. არც კი გრცხვენიათ, ასეთ უბრალო რამეზე აფთიაქს მიმართავთ!..

შერცხვენილი მოქალაქე თავჩალუნული გამოდის აფთიაქიდან და თავისთვის ფიქრობს: „რასაკვირველია ის მართალია, სიროლინი ძალიან ადვილი დასამზადებელია, მაგრამ რატომ არ ჰკიდებს ხელს ასეთ ადვილ საქმეს ჩვენი სააფთიაქო სამმართველო? ესეც ხომ პიტნის წვეთები არ არის, რომ საქართველოში პიტნა ვერ იშოვნონ და სხვა რესპუბლიკების იმედით იყვნენ? პიტნა შეიძლება ვინმეს სძულს და მისი წვეთების გამოხდა არ ეპიტნავება, მაგრამ ასე ადვილად დასამზადებელმა სიროლინმა რა დააშავა? ესეც არ იყოს, ყველა ხომ აფთიაქარი არ არის, რომ სახლში მოაწყოს სააფთიაქო ჩეურნეობა?“

და განა მარტო აქ აღნიშნულ მოქალაქეს უტრიალებს თავში ასეთი ფიქრები?

გამოჯანმრთელებული

ხსრა და თარბევი



რას იტყოდა სიცილის მოყვარული ჩვენი მკითხველი, რომ რომელიმე საბავშვო ბაგაში ასეთ მდგომარეობას შეხვედროდა: მაგიდას უსხედან საბავშვო ტანსაცმელში გამოწყობილი მოკლეკაბიანი პედაგოგები, თავზე ბანტები უკეთიათ და საუზმეს შეეჭყვიან. ფეხზე დგას პატარა, სკოლამდელი ასაკის თმახუჭუჭა ბიჭი, ხელში სახაზავი უჭირავს და უფროსებს უფროსობს:

— აბა, დეიდებო და ძიებო, კარგად ისაუზმეთ, თორემ გარეთ რომ გახვალთ, ამუა შეგკამთ. იცოდეთ, რომ ვინც არ ჰამს, მას ამუა ემტერება.

— ალ მინდა, ალა, ველ ვწამ!— იძახის ერთ-ერთი პედაგოგთაგანი.

ბავშვი-„უფროსი“ ბრახდება:

— ნათელა ქაფიაშილო, შენ ჩვენი საბავშვო ბაგის გამგე ხარ და დანარჩენ პედაგოგებს მაგალითი უნდა უჩვენო,

ნო, კამე თორემ განათლების განყოფილების გამგეს ვეტყვი!

— ალ მინდა, ალა, უთალი, ქვალ მე ალ მოალ კოლაში!

ასეთი სურათი მოსალოდნელია თვალწინ წარმოვიდგეთ ნატახტარის სასელექციო სადგურის საბავშვო ბაგაში შესვლის დროს. ამ ბაგას 11 მუდმივხელფასიანი აღმზრდელი ჰყავს, ხოლო აღსაზრდელი კი—9.

საკვირველია, განა ისეთი რა დაუმორჩილებელი და ძნელად აღსაზრდელი ბავშვები ჰყავთ ნატახტარელ სელექციონერებს, როგორი თავზე ხელაღებულები არიან ეს ახლად ფეხადგმული ჩვილები, რომ თითო მათგანს თითო აღმზრდელიც კი არ ეყო? იქნებ ადგილობრივმა განათლების განყოფილებამ ამოიცნოს ეს უბრალო არითმეტიკა.

დღ-დღ

# „ვეს“-ი და კოლმეურნი შეხვედრები

ქობულეთელმა კოლმეურ-  
ნებმა „ვეს“-ის ოსტატ ფე-  
ბურთელებს მოუგეს მატჩი.  
გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

## ჯეჯელავა:

— თუმც სასტიკად დაგვამარცხეთ  
კოლმეურნი ვაჟკაცებმა, —  
გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გუნდის  
გულითადი აღტაცება!

## კობულეთელი:

— ჩემო ძმაო, მაი რაა, —  
სხვაი უფრო საშიშია:  
დღეს თქვენ დუბლი გეთამაშათ,  
ძირითადი—ჩაიშია!

დელი ოდილავაძე



# ქარის მოტანილს ქარი წაიღებს

ვინ არ იცის რამდენი ზიანი მოაქვს  
ქარს!

მაგრამ კაცზე თუ თქვეს, ქარიც კი  
იმის გუნებაზე ჰქრისო, — ეს ნიშნავს,  
რომ იმ კაცის „ბედ-იღბალი“ და საქ-  
მეები ქარის ყოველ დაქროლებაზე ქა-  
რის წისქვილივით ტრიალებს. სწორედ  
ასე აქვს საქმე ამიერკავკასიის რკინი-  
გზის „ცოცხალი დაცვის“ უფროსს ვ.  
ჩებოტარიოვს.

მაგრამ მისი ქარის ქროლების ამბავი  
პირველი ნიავიდან დავიწყოთ.

რკინიგზის ეგრეთწოდებულ გან-  
თვისების ზოლში ბევრ ადვილას შენ-  
დება ქარის საწინააღმდეგო „ცოცხა-  
ლი დაცვა“ — მცენარეთა ზოლი. მცენა-  
რეთა გაშენებას აბა რა ჯობია? მაგ-  
რამ საკვირველი ამბავი მოხდა: რკინი-  
გზელებს აზრად მოუვიდათ ქვიშხეთში  
„უსარგებლო“ ნაძვნარ-ფიჭვნარის მაგი-  
ვრად ცოცხალ დაცვად დაერგათ ვაზი.  
დიახ, ვაზი! ყოველ ქართველს ქეშმა-  
რიტად კარგად მოეხსენება, თუ რამ-  
დენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ  
კუზიანი მცენარის ულამაზეს მტევნებს,  
დაილოცოს მისი ბარაქა!

უცბათ იფეთქა სამ ჰექტარამდე ვე-  
ნახმა. გაჩნდა ქვევრები, საწნახელი და  
ვენახის მომვლელი მოხუცი პენსიონერი  
ესტატე ჭყოიძე.

ვ. ჩებოტარიოვის ნიავმა იმატა, ქა-  
რად გადაიქცა. იგი „ცოცხალი დაცვის“  
უფროსია და მის გამგებლობაში შე-  
დის როგორც ვენახი, ასევე მისი ნუ-  
ნუის წვენი, თავისი ცხოველმყოფელი  
თვისებებით.

თბილისსა და ქვიშხეთს შორის უფ-  
რო შემჭიდროვდა კავშირი, კალამი  
აწრიპინდა:

„ამხ. ე. ჭყოიძეს

წინადადებას გაძლევ ჩამოხვიდე თბი-  
ლისში 26 აპრილისათვის. წამოიღე ღვი-  
ნო, რამდენიც კი იშოვნო ცარიელი ჭურ-  
ჭელი. ჩამოსვლისთანავე დამირეკე ტე-  
ლეფონით სახლში.

ვ. ჩებოტარიოვი“.

„ამხ. ე. ჭყოიძეს

გავეცი გზის სალიანდაგო სამსახურის  
მუშაკზე ვარნაზოვზე 2 ფუთი ღვინო და  
4 ლიტრი არაყი. ღირებულება გადახ-  
დილია თბილისში.

ვ. ჩებოტარიოვი“.

და სხვ. და სხვ.

გადის დრო, კვირა კვირას მოსდევს,  
თვე თვეს გადაება, ბარათი ბარათს  
და მოგესხენებათ, რომ თვით იესო  
ქრისტესაც კი არ შეეძლო ერთი ბოთ-  
ლი წყალი ათ ბოთლ ღვინოდ გადაექ-  
ცია და ესტატე ჭყოიძე რომელი ცირ-  
კის მუშაკია, რას მოახერხებდა!

ამასთანავე ერთად, სახელმწიფო  
დოვლათს სახელმწიფო აღრიცხვაც გა-

აჩნია და ყველა ციფრი ვერ მოხვდა  
ციფრს, მოყვანილ-გამოხდილი ჩაყლა-  
პულმა ზუსტად ვერ დაფარა.

— შენზე დავალიანებაა, ხელფასს ვერ  
მოგცემთ, — უთხრეს ერთ დღეს რკინი-  
გზის სამმართველოში ქვიშხეთიდან  
ჩამოსულ ესტატეს. — რა უყავი, შე კაი  
კაცო, ამდენი ღვინო და არაყი. სმის  
მეტს არაფერს აკეთებ, ეს მოხუცებუ-  
ლი კაცი?

ესტატემ ვ. ჩებოტარიოვს მიმართა.

— შე კაი კაცო, სადღაც რალაცა  
დაილია, ახლა საიდან დაგიბრუნო.  
ეგეც არ იყოს, ჩვენს ღვინოში, ჩვენვე  
გვახდევინებ ფულს? — უპასუხა ჩებო-  
ტარიოვმა.

ასე წარმოიშვა წინააღმდეგობა  
მბრძანებელსა და აღმსრულებელს  
შორის. ჩვენ ვერ გავარკვევთ ზუსტად  
რამდენი ლიტრი სუფთა თუ წყალნა-  
რევი ღვინო აკლია აღნიშნულ მეურ-  
ნობას, ვის რამდენი წილი მიუძღვის  
მისი სიმძლავრის განვიტრალევაში,  
მაგრამ მათ გარდა ყველა რკინი-  
გზელმა კარგად იცის, რომ ქარის  
ქროლვა ამინდის მიხედვით იცვლება.  
ზენა ქარს ქვენა ქარი მოსდევს და  
ზოგჯერ — გვალვა, ან უფრო უარესი —  
სეტყვა!



რედაქტორი ქ ა რ ლ ო ქ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1951 წ. 15/V. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 1129. გამოც. № 9. ტირ. 11.000. უე01663



ნახ. ი. ქოქიაშვილისი და ა. ბანაძელების

### ქალაქისა და სოფლის სურათი

მხატვარს, ალბათ, წიყელი ხაზი რომ არ ჩამოეხვა, ჩვენ ვერც კი მივხვდებოდით, რომ აქ ორი სურათია, —  
 შრომის გმირებმა კულტურით ისე აამაღლეს ახალი სოფელი და ისე აამწვანეს ქალაქი.